ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 44

06.08.2020
11:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, 11:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **მაკა ნასრაშვილი,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი 12-032020574-03; 23.07.2020) (მომხსენებელი - ირაკლი გვილავა და მაკა ნასრაშვილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი და მოადგილე);*

სხდომა წარიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, მადლობას ვუხდი მერიის წარმომადგენლებს მობრძანებისთვის, მოგეხსენებათ ჩვენი გუნდის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს, სწორედ ახალგაზრდული მიმართულება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს თავიანთი ინიციატივების დაფინანსება უნდა გაუმარტივდეთ, სწორედ აღნიშნულს ემსახურება მერიის ინიციატივა, რომ აქტიურად განხორციელდეს ახალგაზრდული ჯგუფების დაფინანსება, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. საკითხს მომხსენებლები წარმოადგენენ.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში ცვლილება - კომისიებს წარუდგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და მისმა მოადგილემ მაკა ნასრაშვილმა.

მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა'' (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი'' (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა'' (კოდი: 08 13), აღნიშნულ პროგრამებში წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია რამდენიმე ცვლილების შეტანა. მოგეხსენებათ, რომ კორონავირუსმა საკმაოდ დააზიანა ბევრი სფერო, მათ შორის კულტურის სფერო და მასში მოღვაწე ადამიანები. სწორედ პანდემიისგან მიღებული გამოწვევა გახლდათ მთავარი მიზეზი აღნიშნულ წესში ცვლილების შეტანისა. ცვლილება გულისხმობს განაცხადის შემომტანი სუბიექტების წრის გაფართოებას, თუ აქამდე დაფინანსებაზე განაცხადის შემოტანა შეეძლო მხოლოდ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ახლა ეს სტატუსი გაფართოვდა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტებს დაემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირი. ამ წესის ფარგლებში, პროექტის შემადგენელი ძირითადი აქტივის (ტექნიკა, ინვენტარი, მოწყობილობა) შესაძენად, თანადაფინანსება შესაძლებელია გაიცეს ღირებულების 80%-ის ფარგლებში, არაუმეტეს 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, საკონკურსო განაცხადის და თანდართული ინვოის(ებ)ის შესაბამისად, მხოლოდ პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი'' (კოდი: 08 09) ფარგლებში. თანადაფინანსება არ გაიცემა სატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის შესაძენად. აღნიშნული ძალიან დიდ შესაძლებლობას აძლევს კულტურის სფეროში მოღვაწე პირებს.

სამ წელზე მეტია თბილისის საკრებულოს და მერიის მხარდაჭერით ფუნქციონირებს და უკვე გაფართოვდა ოთხი მიმართულება, კერძოდ კი „შემოქმედებით თბილისს'' (კოდი: 08 09) დაემატება შემდეგი დარგები: ციფრული პლატფორმის შექმნა, კომიქსი; სახვითი ხელოვნება - ფერწერა, გრაფიკა, დეკორაციული ხელოვნება, ბეჭდვა/პრინტი; ხელნაკეთობა - ორიგამი, მინანქარი, მინა, ხე, კერამიკა; დიზაინი - ტექსტილი, ჭურჭელი, აქსესუარები, ავეჯი; ანიმაცია; ექსპერიმენტული მუსიკა; ფოტოგრაფია; ქუჩის მხატვრობა; საჯარო ხელოვნება. დაფინანსების გამონაკლისი მიმართულებებიდან ამოღებულია „პროზაული კრებული''.

წესის მოქმედი რედაქციის თანახმად, თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით/საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 20 000 (ოცი ათასი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, რათა მან აღნიშნული პროექტი განსახილველად წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას; წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, პროექტის დაფინანსების შესახებ კომისიის დადებითი დასკვნის შემდეგ, საქალაქო სამსახურის უფროსი წარუდგენს თბილისის მთავრობას, თუ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 25 000 ლარს და მეტს, ნაცვლად 20 000 ლარისა (დანართი N1, მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის), ასევე ძველ რედაქციაში არსებული „იურიდიული პირი" შეიცვლება განსაზღვრებით „დაფინანსების მიმღები სუბიექტი". მინდა დამატებით მოგახსენოთ, რომ წესთან დაკავშირებული შენიშვნები, რაც წარმოდგენილია საკრებულოს კომისიების მხრიდან, სამსახურისთვის სრულად მისაღებია.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, ცვლილებების ძირითადი ნაწილი წარმოადგინა ქალბატონმა მაკამ, დავამატებდი რამდენიმე დეტალს, კერძოდ კი, „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) განხორციელების წესში განსაზღვრული დაფინანსების მიმღებ სუბიექტებს დაემატება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება), ასევე სტუდენტური კლუბები, ახალგაზრდული კლუბები, შემოქმედებითი ჯგუფები და საინიციატივო ჯგუფები. აღნიშნული ცვლილების საჭიროება გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით, სტუდენტური და ახალგაზრდული ჯგუფების და სტუდენტური კლუბების დიდი ნაწილი, აგრეთვე, სტუდენტური თვითმმართველობები, ფუნქციონირებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) ფორმით და არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მცირებიუჯეტიანი ღონისძიებების და პროექტების მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მიზეზით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვერ ახორციელებს ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნული ცვლილება გაზრდის ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხს მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში და ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სექტორის განვითარებას.

ახალგაზრდებთან მიმართებით, წესის არსებული სახე გარკვეულწილად აფერხებდა დაფინასების მიმღები ჯგუფების მრავალფეროვნებას, რაც ბარიერს წარმოადგენდა ზოგიერთი ჯგუფისთვის. აღნიშნული ცვლილებით ეს ბარიერი აღარ იქნება და პროცედურები ბევრად გამარტივდება. ასევე ვმუშაობთ ცვლილებებთან დაკავშირებით სპორტის ნაწილშიც, ჩვენი მიზანია მოქნილი და ხელმისაწვდომი პირობები შევთავაზოთ ყველა დაინტერესებულ სუბიექტს. წლის ბოლოსთვის ვფიქრობთ, უფრო მკაფიოდ წარმოვადგინოთ ეს დეტალები და მოვახდინოთ მათი ერთობლივი ჩასწორება, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ურთიერთობებს. წესს დაემატება რამდენიმე პუნქტი, რომლის თანახმადაც, არარეგისტრირებულ კავშირი (გაერთიანება), ამ წესის შესაბამისად, შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამების „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი: 07 05 01) და „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი: 08 08 01) ფარგლებში, არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. წესის არსებული დაინტერესებული პირისთვის საპროექტო

განაცხადის ხარვეზის გამოსასწორებლად გათვალისწინებული ვადა 5 დღის ნაცვლად, განისაზღვრება გონივრული ვადით. ხოლო წესში არსებული ჩანაწერი „მხოლოდ ლარში" ჩამოყალიბდება შემდეგი სახით - „ეროვნულ ვალუტაში - ლარში".

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებლებმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - დიდი მადლობა მომხსენებლებს, წესთან დაკავშირებულ შენიშვნებს ჩვენი კომისიის მხრიდან წარვადგენთ და განვიხილავთ იურიდიულ კომისიასთან ერთად საკრებულოს სხდომაზე გასვლამდე. ახალგაზრდული ინიციატივების წახალისების კუთხით ცვლილება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ეს გახლავთ იმ წრის და იდეების გაფართოების და გამრავალფეროვნების შესაძლებლობა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი და მხარდასაჭერია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ჩაკვეტაძე